

შევიდეს ცვლილება საბანკო მომსახურების პირობების 3.3.6.11, 9.9.2 და 9.9.4 ქვეპუნქტებში, საბანკო მომსახურების პირობებს დაემატოს 9.11 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

3.3.6.11 VISA International-ისა და Mastercard International-ის საგადამხდელო სისტემის **ბარათებით** ანგარიშსწორებისას თანხის კონვერტაციის შემთხვევაში გადაახდევინოს **კლიენტს** კონვერტაციის საკომისიო:

3.3.6.11.1 VISA International **ბარათებით** ანგარიშსწორების შემთხვევაში - **ოპერაციის** 4%-ის ოდენობით.

3.3.6.11.2 Mastercard International **ბარათებით** ანგარიშსწორების შემთხვევაში - **ოპერაციის** 2%-ის ოდენობით.

9.9.2. **ხელშეკრულების** თანხმად, **კლიენტი** უპირობოდ თანახმაა და უფლებამოსილებას ანიჭებს **ბანკს**, ერთჯერადად ან მრავალჯერადად მიაწოდოს **საკრედიტო სააგენტოს** ან ნებისმიერი სხვა მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულებას ნებისმიერი ინფორმაცია (მათ შორის პერსონალური მონაცემები) **კლიენტის** შესახებ, **საკრედიტო სააგენტოს** მიერ საკუთარ მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციისთვის, ასევე იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი უფლებამოსილი იქნება **ბანკის** მიერ მიწოდებული **კლიენტის** მონაცემები გადასცეს მესამე პირებს. აღნიშნული ინფორმაცია სხვა მონაცემებთან ერთად მოიცავს: **კლიენტის** პირადობის დამადასტურებელ ინფორმაციას, ინფორმაციას **კლიენტის** ნებისმიერი დავალიანების მოცულობის შესახებ, დარიცხული პროცენტის მიზნისა და მოცულობის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ინფორმაციას კრედიტ(ებ)ის (ასეთის არსებობის შესახებ) ვადის ამოწურვის შესახებ, გადახდების სიზუსტის შესახებ, არსებული დავალიანებ(ებ)ის შესახებ, ინფორმაციას ნებისმიერი უზრუნველყოფის/გირაოს შესახებ, ან სასამართლო პროცესის შედეგისა და განხორციელების შესახებ, იმ პირების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებში მოცემულ ინფორმაციას, რომლებთანაც **კლიენტს** აქვს ფინანსური კავშირები (კერძოდ, **დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ი**);

9.9.4. **ბანკი** უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, **კლიენტისათვის** (უშუალოდ ან მესამე პირებთან ერთად) **მომსახურების** ერთჯერადად ან მრავალჯერადად გაწევის (ასევე, აღნიშნული **მომსახურების** ფარგლებში კანონმდებლობის შესაბამისად მასზე დაკისრებული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების) და აღნიშნული **მომსახურების** ფარგლებში, **კლიენტის** მიერ ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების ერთჯერადად და მრავალჯერადად უზრუნველყოფის (მათ შორის, შესაბამისი ინფორმაციის ერთჯერადად ან მრავალჯერადად მიღების) მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, გამოიყენოს **საკრედიტო სააგენტოს** ან ნებისმიერი სხვა მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულების მონაცემთა ბაზა (მათ შორის, ელექტრონული ბაზა). კერძოდ, ერთჯერადად ან მრავალჯერადად მიიღოს და გამოიყენოს **ბანკისათვის** აუცილებელი, **კლიენტს** შესახებ დაცული ინფორმაცია (მათ შორის, პერსონალური მონაცემები).

9.11 **ბანკი** უფლებამოსილია სხვა კლიენტებისათვის საბანკო მომსახურების ერთჯერადად ან მრავალჯერადად გაწევის ან სხვა კლიენტების მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების ერთჯერადად და მრავალჯერადად უზრუნველყოფის (მათ შორის,

მონიტორინგის) მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, ერთჯერადად ან მრავალჯერადად მიმართოს **კლიენტს** და შესაბამისად მიაწოდოს ან მიიღოს მისი მომსახურებით დაინტერესებული სხვა პირის/კლიენტის შესახებ ინფორმაცია (მათ შორის, პერსონალური მონაცემები).